ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება:	**ძიუდოს საგანმანათლებლო ცენტრი**
პროექტის აღწერა (მოკლედ):	საქართველოში ძიუდო ერთ-ერთი განვითარებული და წარმატებული სპორტის სახეობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უამრავჯერ ასახელა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სპორტი დიდ შრომასა და დროს მოითხოვს სპორტსმენისგან, რაც იწვევს იმას, რომ სპორტსმენს დრო არ რჩება კარგი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მისაღებად. ხშირად ხდება , როდესაც ისინი ვერ ახერხებენ სკოლაში მისვლას და სწავლას, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლესი განათლების მიღებაზე. ეს პრობლემა არის ასევე ძიუდოშიც. საბოლოო ჯამში, ჩვენ ვიღებთ წარმატებულ სპორტსმენს, რომლის განათლების დონე ხშირ შემთხვევაში დაბალია, მაშინ, როდესაც თავად სპორტსმენი ყველაზე უფრამ მაღალი მოტივაციით, მიზნისკენ სწრაფვით და ორგანიზებულობით გამოირჩევა. პრობლემის გამოსწორების გზას ვხედავთ სწორედ ამ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ძიუდოისტების განათლებაზე ზრუნვას, ეს გულისხმობს მათ მომზადებას, ინგლისურში, ისტორიაში, ასევე მათთვის სხვადასხვა ტრეინინგკურსების ჩატარებას მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა, სამოქალაქო განათლება, სამართლებრივი თუ მოქალაქეობრივი ცნობიერება, ლიდერობა, კომუნიკაცია, მოლაპარაკების ხელოვნება, წარმატების მენეჯმენტი, საკუთარი თავის პრომოუთირება, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, გადაწყვეტილების მიღება, სახელმწიფო და მისი არსი, მოქალაქეთა აქტიურობის ფორმები, წარმატებული მენეჯმენტი, სპორტსმენის როგორც რიგითი მოქალაქის როლი, დროის მენეჯმენტი. ამ ტრენინგებს წაიკითხავენ გამოცდილი და წარმატებული ტრენერები, რომლებსაც აქვთ ხარისხი და გამოცდილება ამ საქმეში.

	ვფიქრობ ეს პროექტი დაეხმარება, როგორც სპორტს, ისევე სახელმწიფოს შექმნას წარმატებული და განათლებული სპორტსმენი, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის სახე მსოფლიო ასპარეზზე.
პროექტის მიზანი:	• ძიუდოისტებისთვის, როგორც არაფორმალური, ისევე ფორმალური განათლების მიცემა, ფიზიკურად და გონებრივად ძლიერი სპორტსმენი. • მოქალაქეობრივი და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება სპორტსმენებში. • უცხო ენის შესწავლა. • სპორტსმენებმა კარგად იცოდნენ საკუთარი ქვეყნის ისტორია.
ამოცანები:	პროექტის მთავარი ამოცანებია: ძიუდოისტებს მივცეთ, როგორც ფორმალური ისევე არაფორმალური განათლება სხვადასხვა საკითხებზე, გვყავდეს როგორც ფიზიკურად, სულიერად, ასევე გონებრივად ძლიერი სპორტსმენები. სპორტსმენებმა კარგად იცოდნენ თავიანთი ქვეყნისა და წინაპრების საგმირო ისტორია და მათ ნაკვალევზე, შეძლონ სხვადასხვა გამარჯვებების მოპოვება და ქვეყნის წარმოჩენა მსოფლიო ასპარეზზე. პროექტის ამოცანას წარმოდგენს, ასევე, სპორტსმენებში , „ძიუდოისტებში“, სამართლებრივი და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, რაც პირდაპირ კავშირშია, მათ ცნობიერებაზე, თუ როგორი უნდა იყოს მოქალაქე და რა უფლებები აქვს მას. პროექტის შემდგომი ამოცანაა, ძიუდოისტებისთვის, უცხო ენის, ამ შემთხვევაში ინგლისურის ენის შესწავლა, რომელიც საერთაშორისო ენად არის აღიარებული და მისი ცოდნა დაეხმარებათ მათ საერთაშორისო შეჯიბრებზე. მონაწილეობისას, კომუნიკაციაში

	საზოგადოებასთან თუ მათ კოლეგებთან.
პროექტის ბენეფიციარები:	პროექტის ბენეფიციარები იქნებიან, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის წევრები,
დაგეგმილი აქტივობები:	პროექტის პირველ ეტაპი გულისხმობს პროექტის გაცნობასა და პრეზენტაციას საზოგადოებისათვის, ასევე ბენეფიციარებისა და მათი ტრენერებისათვის. პროექტის მეორე ეტაპზე დაიწყება მომზადება ინგლისურსა და ისტორიაში. პროექტის მესამე ეტაპზე, გაკვეთილების პარალელურად, ჩატარდება სხვადასხვა მიმართულების ტრეინინგები ყოველ შაბათ-კვირას. პროექტის მეოთხე ეტაპი გულისხმობს, ორგანიზატორებისა და ფედერაციის შეხვედრას სპორტსმენებთან და დისკუსიას, როგორ მოსწონთ პროექტი. პროექტის მეხუთე ეტაპზე მოხდება, პროექტის დახურვა და სერტიფიკატების გადაცემა მონაწილეებისათვის.
მოსალოდნელი შედეგები:	პროექტის მოსალოდნელი შედეგები იქნება პროექტში მონაწილე სპორტსმენებში გაზრდილი სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საბაზისო ცოდნა, ინგლისურისა და ისტორიის გარკვეულ დონეზე ცოდნა, ასევე მონაწილეებს ეცოდინებათ, რა არის ლიდერობა, როგორ აწარმოონ მოლაპარაკებები, რა არის საჭირო წარმატებისთვის და

	როგორ მოახდინონ საკუთარი თავის პრომოუთირება.
ინდიკატორები:	მონაწილეთა განწყობა–დამოკიდებულების შესწავლა პროექტის დასასრულს შემაჯამებელი დისკუსიის გზით.
მონიტორინგი და შეფასება:	პროექტის დასრულების შემდეგ ძიუდოს ფედერაცია მოახდენს პროექტის SWOT ანალიზს და შეაფასებს პროექტის შედეგებს. ასევე, პროექტის ბოლოს მონაწილეებს დაურიგდებათ პროექტის შესაფასებელი ბლანკები, სადაც დეტალურად იქნება გამოკვლეული აღნიშნული პროექტის ხარისხი და მისი უფრო მეტად დახვეწის მოსაზრებები.
რისკების ანალიზი:	1.ტრენერების გამოუცხადებლობა; 2.პროექტის გადადება კლიმატური პირობების გაუარესების გამო;
პროექტის მდგრადობა:	პროექტის დასრულების შემდეგ მივიღებთ, წარმატებულ სპორტსმენებს, როგორც გონებრივად, ასევე სულიერად და ფიზიკურად, რომლებსაც ექნებათ ამაღლებული ცნობიერება სახელმწიფო მოწყობისა და მოქალაქის როლის შესახებ. ასევე ეცოდინება უცხო ენა და საკუთარი ქვეყნის ისტორია, ასევე შეეძლება სწორი კომუნიკაციის დამყარება, თვითპრეზენტაცია და საკუთარი თვის პრომოუთირება.
დამატებითი ინფორმაცია:	პროექტის ფარგლებში ვთანამშრომლობთ, ილიას სახელმწიფო უნვიერსიტეტისა და კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, და ორგანიზაციებთან, „ახალგაზრდა ფსიქოლოგთა კლუბი“ და “walner season academy” რომლებიც მონაწილეებს ჩაუტარებენ ტრეინინგკურსებს და მოამზადებენ სხვადასხვა საგნებში.

საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას საბოლოო მიზნად განსაზღვრული აქვს ძიუდოისტებში განათლების დონის და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება, რაც გულისხმობს მომავალში ძიუდოს აკადემიის ბაზაზე საგანმანათლებლო ცენტრის შექმნას.

ამ პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ და ჩამოვაყალიბოდ ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედება ამ ცენტრის შექმნას და შემდგომ ფუნქციონირებას, რაც გათვლილი იქნება არა მხოლოდ ნაკრების წევრებზე, არამედ ყველა ძიუდოისტზე ასაკის მიუხედავად.